ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N19/01/21

ქ.თბილისი 2020 წ.

ხელშეკრულების მხარეები:

1. „შემსყიდველი“: **სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“ (ს/კ: 205307960)**

1.1. წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): დირექტორის მ/შ - დავით ტორუა

1.2. „მიმწოდებელი“: **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო” (ს/კ: 204478948)**

1.3. წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): პრეზიდენტი - დავით გიორგობიანი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის 3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის „თ“ პუნქტის საფუძველზე, ასევე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილებისა და მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ “საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ სარგებლობაში არსებული 10 ერთეული ავტომობილისთვის (იხ. დანართი N1) გაცემული საგარანტიო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შესასყიდი საქონელი ან/და მომსახურება (CPV 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები). ასევე, მწარმოებლის სტანდარტით დადგენილი ან/და მხარეთა შეთანხმების საფუძველზე არასაგარანტიო საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, N2 დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2.დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 70 000 (სამოცდა ათი ათასი) ლარს (ფასები განისაზღვრება დანართი №2-ის მიხედვით) და მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ “მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

3.2. პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს 32 648 (ოცდა თორმეტი ათას ექვსას ორმოცდა რვა) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, პირნათლად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

4.2. შესასყიდი ობიექტის (მომსახურების) ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „შემსყიდველის“ პირობებს.

4.3. არაცვეთად დეტალებზე მექანიკური დაზიანების არ ქონის შემთხვევაში გარანტია ვრცელდება 6 თვე.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1.„საქონელის“ და „მომსახურების“ მოწოდების ვადაა „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან (არაუადრეს 2021 წლის 1 იანვრიდან) 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2.ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილად განსაზღვრულია:

5.2.1. საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

5.2.2. საქართველო, ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-9 ჩიხი, N2ა.

5.2.3. საქართველო, ქ. ბათუმი, სოფ. ადლია (აეროპორტის გზატკეცილი 174-Iს მოპირდაპირედ)

5.2.4. საქართველო, ქ. თელავი, აღმაშენებლის N62ა.

5.2.5. ადგილის ცვლილება შესაძლებელია „შემსყიდველთან“ შეთანხმებით.

5.3.შესყიდვის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის“ (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი („მომსახურება“) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების შემდეგ.

6.2. ხელშეკრულების მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით, აფორმებენ მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ს.

6.3. „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ზე ხელმომწერი პირი არის სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი დავით ანთოშვილი (პ/ნ:35001001014) ან ლოგისტიკის დეპარტამენტის ავტოპარკის სამმართველოს უფროსი ლაშა კობალავა (პ/ნ:33001020824).

6.4.ხელშეკრულების თანახმად, „მომსახურების“ მიწოდების ადგილად განსაზღვრულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში აღნიშნული მისამართები.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი), „მიმწოდებლის“ ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

7.2. ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების სრულად შესრულების და მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.1.1. უზრუნველყოს მისთვის გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისთვის“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

8.1.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე გააფორმოს მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ი 3 (სამი) ეგზემპლარად.

8.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

8.2.1. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიწოდება.

8.2.2. „მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.2.3. თვითონ ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლად განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ განხორციელებული შესყიდვის მომსახურების ხარისხის შემოწმება.

8.2.4. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ მომსახურების განხორციელების შესახებ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმება.

8.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.3.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) დადგენილ ვადაში;

8.3.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარუდგინოს „შემსყიდველს“ შესყიდვის მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

8.3.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

8.3.4. მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს „შემსყიდველს“ განხორციელებული მომსახურების შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რის შემდეგ მხარეები გააფორმებენ შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ს.

8.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელი პირობების შესახებ.

8.3.6. წინამდებარე ხელშეკრულების პერიოდში, სუბკონტრაქტების გაფორმების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

8.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

8.4.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

9. უფლებების გადაცემა

9.1. „მიმწოდებელს“ უფლება არ აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ, „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლება–მოვალეობანი.

10. ხელშეკრულების გადასინჯვის აუცილებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობითი ფორმით მიაწოდოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, მხარეებს გაეგზავნებათ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების

ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე თავის მხრივ დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის სახით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1.ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

14.2.ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისთვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მიმწოდებელი ყოველ გადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ს.

14.3.საჯარიმო სანქციების გადახდა „მხარეებს“ არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4.ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ს.

14.5.იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.6.„პირგასამტეხლოს“ გადახდა უნდა განხორციელდეს „მხარის“ მიერ მეორე „მხრაისადმი“ გაგზავნილ შესაბამის წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

15.1. მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

15.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, მითითებული უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი მოქმედების ვადა. 15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

16. ფორს–მაჟორი

16.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა პანდემია, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

16.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

16.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

18.1. „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

18.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

18.3. ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

18.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის მომსახურების ხარისხის, რაოდენობის და განხორციელების ვადების კონტროლი.

18.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია, შესყიდვის მომსახურების მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების განმახორციელებელ პირ(ებ)ს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

19. დასკვნითი დებულებანი

19.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

19.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

19.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

19.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

19.5. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
19.6. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

20. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"
ს/კ: 205307960
იურიდიული მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144
ფაქტიური მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. #121
დაფინანსების წყარო:
სახელმწიფო ბიუჯეტი
საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
შიდა ანგარიში - 200122900
სახაზინო კოდი - 2703030701

_____
დავით ტორუა

"მიმწოდებელი"
სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"
ს/კ: 204478948
იურიდიული მისამართი:
საქართველო, თბილისი, ვაკე-
საბურთალოს რაიონი, დავით
აღმშენებლის ხეივანი, მე-12 კმ
საბანკო რეკვიზიტები:
სს "თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
ა/ნ GE96TB0600000360200182

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2021.01.04 11:21:41 +04'00'

_____
დავით გიორგობიანი

LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center
Digitally signed by LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center
Date: 2020.12.30 21:23:47 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N19/01/21 ხელშეკრულების
დანართი N1

N	ავტომანქანა	ავტომანქანის ტიპი	გამოშვების წელი	ვინ:კოდი	სახ.ნომერი
1	HYUNDAI H350	რეანიმობილი	2017	KMFAB17RPJK010830	EM-238-SC
2	HYUNDAI H350	რეანიმობილი	2017	KMFAB17RPJK010829	EM-235-SC
3	HYUNDAI H350	რეანიმობილი	2017	KMFAB17RPJK010830	EM-236-SC
4	HYUNDAI H350	რეანიმობილი	2017	KMFAB17RPJK010834	EM-232-SC
5	HYUNDAI H350	რეანიმობილი	2017	KMFAB17RPJK010838	EM-234-SC
6	HYUNDAI H350	რეანიმობილი	2017	KMFAB17RPJK010835	EM-237-SC
7	HYUNDAI H350	რეანიმობილი	2017	KMFAB17RPJK010837	EM-233-SC
8	HYUNDAI H350	რეანიმობილი	2017	KMFAB17RPJK010831	EM-239-SC
9	HYUNDAI H350	რეანიმობილი	2017	KMFAB17RPJK010833	EM-231-SC
10	HYUNDAI H350	რეანიმობილი	2017	KMFAB17RPJK010832	EM-240-SC

"შემსყიდველი"
სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"
ს/კ: 205307960

_____
დავით ტორუა

"მიმწოდებელი"
სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"
ს/კ: 204478948

_____
დავით გიორგობიანი

LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center

Digitally signed by LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center
Date: 2020.12.30 21:23:57 +04'00'

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC

Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2021.01.04 11:22:01 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N19/01/21 ხელშეკრულების
დანართი N2

	სათადარიგო ნაწილი, საცხებ საპოხი მასალა მომსახურება	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი ლარი	ერთეულზე მომსახურების ფასი ლარი
1	ხელის მუხრუჭის ხუნდები	კომლექტი	330	50
2	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	420	25
3	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	270	30
4	ხელის მუხრუჭის გვარლი	ცალი	140	40
5	წინა ამორტიზატორი	ცალი	650	50
6	უკანა ამორტიზატორი	ცალი	380	40
7	წინა ამორტიზატორის სამაგრი ბალიში	ცალი	110	40
8	წინა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	25	40
9	წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	105	40
10	უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	100	30
11	საჭის ღერძი	ცალი	4850	175
12	საჭის ღერძის შტურვალი	ცალი	630	70
13	საჭის ღერძის წევა	ცალი	480	50
14	საჭის ღერძის წევას დაბოლოება (ნაკანეჩნიკი)	ცალი	645	50
15	საჭის ღერძის წევას სამტვერული	ცალი	40	50
16	წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა)	ცალი	885	70
17	წინა დაკიდების ბერკეტის მილისა	ცალი	110	50
18	წინა სმუხრუჭე დისკო	ცალი	520	60
19	უკანა სმუხრუჭე დისკო	ცალი	500	55
20	მორგვის ბოლტი	ცალი	12	50
21	საბურავის სამაგრი გაიკა	ცალი	12	5
22	გადაბმულობის ქურო გადაბმულობის დისკით	ცალი	1900	350
23	გადაბმულობის საკისარი	ცალი	850	350
24	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა	ცალი	40	25
25	მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა	ცალი	40	20
26	ძრავის სამაგრი ბერკეტი	ცალი	330	60
27	გადაცემათა კოლოდის სამაგრი ბერკეტი	ცალი	280	40
28	წინა ღერო (სტერჟენი)	ცალი	120	25
29	უკანა ღერო (სტერჟენი)	ცალი	150	25
30	ჰაერის ფილტრი	ცალი	60	უფასო
31	ზეთის ფილტრი	ცალი	55	–
32	კონდეციონერის (სალონის) ფილტრი	ცალი	90	10
33	საწვავის (დიზელის) ფილტრი	ცალი	135	60
34	გამათბობლის სანთელი	ცალი	135	50
35	დინამოს ღვედი	ცალი	155	70

36	დინამოს ღვედის დამჭიმი	ცალი	250	70
37	დინამოს ღვედის გორგოლაჭი	ცალი	120	70
38	საყვირი	ცალი	110	30
39	წინა საქარე მინის საწმენდი	ცალი	85	5
40	ჰალოგენის ნათურა	ცალი	80	25
41	წინა ფარის ნათურა	ცალი	40	15
42	გაბარიტის ნათურა	ცალი	20	10
43	უკანა სტოპ ნათურა	ცალი	25	10
44	ძრავის ზეთი (სინთეტიკა)	ლიტრი	25	–
45	გადაცემათაკოლოფის ზეთი	ლიტრი	25	–
46	ხიდის ზეთი	ლიტრი	25	–
47	ჰიდრავლიკის ტუმბოს ზეთი	ლიტრი	25	–
48	ფრეონი	100გრ	13	–
49	ანტიფრიზი	ლიტრი	17	–
50	სამუხრუჭე სითხე	ლიტრი	60	–
51	საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება	ცალი	–	20
52	რაზვალის გასწორება	კომპლექტი	–	50
53	ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა	კომპლექტი	–	20
54	გადაცემათა კოლოფის ზეთის შეცვლა	კომპლექტი	–	60
55	ხიდში ზეთის შეცვლა	კომპლექტი	–	30
56	ჰიდრავლიკის ტუმბოს ზეთის შეცვლა	კომლექტი	–	40
57	ფრეონის ჩატუმბვა	კომლექტი	–	30
58	ანტიფრიზის შეცვლა	კომპლექტი	–	40
59	სამუხრუჭე სითხის შეცვლა	კომპლექტი	–	80
60	წინა მორგვი (სტუპიცა)	ცალი	1230	80
61	ხელის მუხრუჭის რეგულირება სავალი ნაწილიდან	ცალი	–	60
62	ხელის მუხრუჭის რეგულირება სალონიდან	ცალი	–	20
63	საჭის კალონკის აღდგენა	ცალი	–	175
64	კომპ.დიაგნოსტიკა	ცალი	–	40
65	ყინვა გამძლე სითხე 1 ლ	ლიტრი	17	–
66	მუხრუჭის შლანგი უკანა	ცალი	95	25
67	ელ.მომსახურება	ცალი	–	70
68	კარის გარეთა სახელური	ცალი	155	100
69	ტრავერსის დარტყმის ამრიდი	ცალი	45	35
70	ინტერქულერის რადიატორი	ცალი	1180	150
71	გარე რემნის რეგულირება	ცალი		30
72	გადაბმულობის ცილინდრი	ცალი	315	80
73	სამუხრუჭე სისტემის დაჰაერება	ცალი	–	50
74	საწვავის ნასოსი	ცალი	680	80
75	საწვავის ავზის მ/დ გარეცხვა	ცალი	–	200
76	მახავიკი	ცალი	4950	350
77	საჭის ელექტრო კონტაქტი (შლეიფი)	ცალი	275	40
78	ბოლტი	ცალი	12	40
79	სამუხრუჭე შლანგის შეცვლა	ცალი	–	100

80	ევაკუატორის მომსახურეობა (ქალაქ გარეთ)	1 კმ	–	2
81	ევაკუატორის მომსახურეობა (გამოძახება 20 ლარი)	1 კმ	–	3
82	აკუმლატორი	1 ცალი	380	20
83	გვერდითა კარის დაშლა აწყობა	1 ცალი	–	200
84	ფარის აღდგენა	1 ცალი	–	50
85	კარის პეტლი გორგოლაჭი	1 ცალი	218	50
86	ვინტილატორის ფრთა	1 ცალი	175	50
87	დროსელი	1 ცალი	902	80
88	ფრეონის ჟონვის აღმოჩენა	გრ	30	30
89	კონდიციონერის აღდგენა	1 ცალი		170
90	საჭის კალონკის რეგულირება	1 ცალი		175
91	ძრავის კარტერის ბოლტი	1 ცალი	15	
92	ტრანსმისიის ზეთი	1 ლიტრი	35	30
93	ხიდის აღდგენა	1 ცალი		120
			27183	5465
			32648	

<u>არაცვეთად დეტალებზე მექანიკური დაზიანების არ ქონის შემთხვევაში გარანტია ვრცელდება 6 თვე.</u>

“შემსყიდველი”
სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“
ს/კ: 205307960

_____
დავით ტორუა

LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center
Digitally signed by LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center
Date: 2020.12.30 21:24:08 +04'00'

“მიმწოდებელი”
სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“
ს/კ: 204478948

_____
დავით გიორგობიანი

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2021.01.04 11:22:23 +04'00'